ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №267

ქ. თბილისი 17 დეკემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ სსიპ კოლეჯი „მერმისი“ (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნონა ღუდუშაურის სახით და მეორეს მხრივ შპს „აიტისი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის აკაკი ფეიქრიშვილის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ “საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი)

1.1 ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი): (საკუთარი სახსრებით) ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (მომსახურეობის დასახელება, CPV კოდი, რაოდენობა და ერთეული ფასი მოყვანილია N1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 372,00 (სამასსამოცდათორმეტი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავ მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობეექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემსყიდველისათვის გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ამ სფეროსი არსებულ სტანდარტებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, გლდანი, 6 მ/რ, კორპ N7.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა შემსყიდველისათვის 2019 წლის 17 დეკემბრიდან 2019 წლის 28 დეკემბრამდე..

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებელის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი გოდერძი მადურაშვილი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6. ანგარშსწორების წესი

6.1 ანგარიშსწორების ფორმა- უნაღდო.

6.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება (ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე) მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება– მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებრაე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება აფრთხილება.

8.3 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც ას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება ორგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს

ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს.

8.6 იმ თემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 17 დეკემბრიდან 2020 წლის 31 იანვრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართვენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ოლეჯში მოქმედი ინსპექტირების ჯგუფი.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთნ ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თვიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თნაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთნ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ კოლეჯი „მერმისი"
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი 9ა, ს/კ 209467646;
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, ა.ა. 709097519
ორგანიზაციული კოდი 32030111

დირექტორი: ნონა ღუდუშაური

_____
(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
შპს „აიტისი", მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი, 6 მ/რ, კორპ N7.
ს/კ 400159564
სს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ; ა/ა GE87BG0000000720995200

დირექტორი: აკაკი ფეიქრიშვილი

_____
(ხელმოწერა)

დანართი N1

№	დასახელება	CPVკოდი	რაოდენობა	განზომილება	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6	7
1	კარტრიჯის Q2612A-100 დამუხტვა	50323100	9	ცალი	12,00	108,00
2	კარტრიჯის CE285A-100 დამუხტვა		10	ცალი	12,00	120,00
3	კარტრიჯის Canon CRG737-100 დამუხტვა		2	ცალი	12,00	24,00
4	კარტრიჯის CE283A-100 დამუხტვა		5	ცალი	12,00	60,00
5	კარტრიჯის Canon728-100 დამუხტვა		1	ცალი	12,00	12,00
6	კარტრიჯის CB435A-100 დამუხტვა		3	ცალი	12,00	36,00
7	კარტრიჯის Canon 712-100 დამუხტვა		1	ცალი	12,00	12,00
	ჯამი:					372,00

შემსყიდველი:

სსიპ კოლეჯი „მერმისი“

დირექტორი

ნონა ღუდუშაური

მიმწოდებელი:

შპს „აიტისი“

დირექტორი

აკაკი ფეიქრიშვილი